



შპს HANSA-FLEX Georgien

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და
ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

შპს HANSA-FLEX Georgien

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
მოგება - ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	5
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებები და შენიშვნები-----	7

შპს HANSA-FLEX Georgien
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	980 701	816 045	735 993
არამატერიალური აქტივები	5	-	-	126
სულ გრძელვადიანი აქტივები		980 701	816 045	736 118
მიმდინარე აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	6	618 355	577 090	200 817
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	307 921	127 087	175 106
სასაქონლო მატერიალური მარაგები	8	1 103 840	947 463	935 312
საგადასახადო აქტივები	9	9 652	13 498	8 095
სულ მიმდინარე აქტივები		2 039 768	1 665 139	1 319 329
სულ აქტივები		3 020 469	2 481 184	2 055 447
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სავაჭრო ვალდებულება	10	3 546 983	3 072 626	2 539 046
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3 546 983	3 072 626	2 539 046
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	1 514 057	1 035 809	721 984
საგადასახადო ვალდებულებები	9	14 775	7 692	17 810
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1 528 833	1 043 501	739 794
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		250 960	250 960	250 960
დაგროვილი ზარალი		(2 306 306)	(1 885 903)	(1 474 353)
სულ კაპიტალი		(2 055 346)	(1 634 943)	(1 223 393)
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3 020 469	2 481 184	2 055 447

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 7 მარტს.

დირექტორი ანა მაისურაძე



შპს HANSA-FLEX Georgien
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი პროდუქციისა და მომსახურების რეალიზაციიდან	12	1 794 349	1 621 423
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(813 271)	(704 152)
საერთო მოგება		981 078	917 271
კომერციული და ადმინისტრაციული ხარჯები	14,15	(1 135 124)	(981 323)
საოპერაციო ხარჯი		(1 135 124)	(981 323)
საოპერაციო მოგება		(154 046)	(64 052)
ფინანსური ხარჯი	16	(335 183)	(221 024)
წმინდა მოგება/ზარალი საკუთროს სხვაობიდან	17	69 870	(123 997)
ძირითადი საშ. ჩამოწერა	19	(1 269)	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	18	400	1 047
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	18	(176)	(3 523)
არასაოპერაციო ხარჯები		(266 357)	(347 498)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		(420 403)	(411 550)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		(420 403)	(411 550)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ მთლიანი სრული შემოსავალი		(420 403)	(411 550)

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 7 მარტს.

დირექტორი ანა მაისურაძე




შპს HANSA-FLEX Georgien
ფულადი სახსრების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	2024 წელი	2023 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული თანხები	1 973 581	1 956 262
ფულადი სახსრების სხვა შემოსვლები	-	-
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(585 392)	(569 398)
თანამშრომლებზე გადახდილი თანხები	(633 069)	(556 091)
გადახდილი სხვა გადასახადები	(394 510)	(406 685)
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
ფულადი სახსრების სხვა გასაღებები	(18 647)	(4 931)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	341 963	419 157
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	-
ძირითადი საშუალებების შეძენა	(302 674)	(46 368)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	-	-
გაცემული სესხების დაფარვა	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(302 674)	(46 368)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	-
სასესხო ვალდებულების ზრდა	-	-
სასესხო ვალდებულებების დაფარვა	-	-
გადახდილი პროცენტები	-	-
გადახდილი დივიდენდები	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-	-
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების ზრდა (კლება)	39 290	372 789
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი	577 090	200 817
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამომწვეული ცვლილება	1 975	3 484
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბოლოო ბალანსი	618 355	577 090

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 7 მარტს.

დირექტორი ანა მაისურაძე



შპს HANSA-FLEX Georgien
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	საკუთარი კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ზარალი	რეზერვები	სულ
01.იან.23	250 960	(1 474 353)		(1 223 393)
საწესდებო კაპიტალი				-
პერიოდის მოგება/ზარალი		(411 550)		(411 550)
გამოცხადებული დივიდენდები				-
რეზერვები				-
31.დეკ.23	250 960	(1 885 903)	-	(1 634 943)
საწესდებო კაპიტალი				-
პერიოდის მოგება/ზარალი		(420 403)		(420 403)
გამოცხადებული დივიდენდები				-
რეზერვები				-
31.დეკ.24	250 960	(2 306 306)	-	(2 055 346)

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 7 მარტს.

დირექტორი ანა მაისურაძე



1. ზოგადი ინფორმაცია

შპს HANSA-FLEX Georgien შემდგომში (კომპანია) რეგისტრირებულია 06/05/2011-ს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო ნომრით 406048067. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა ჰიდრავლიკური და პნევმატური სისტემებით. იურიდიული მისამართი: თბილისი, ისნის რაიონი, ს. დოდაშვილის ქუჩა, N20ა, ბინა 43.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორებია:

მეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	
HANSA-FLEX International, HRB18800HB /გერმანია/	51%
დენი პოკრაიჩიჩ, C22JKZ2C2 /გერმანია/	19%
გოიკო პოკრაიჩიჩ, C238C2L72, 01191003047 /გერმანია/	15%
ჰანს ლუდვიგ კარლ ამელუნგ, C22JH6FFK; C22J89W4M, 01191002880 /გერმანია/	15%

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები:

ანა მაისურაძე, 01011005152

ალექსანდრე მიქიაშვილი, 01002006339

ტიმ ვიქტორ ოლლენდორფ, C1L8VVZCV /გერმანია/

საოპერაციო გარემო

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა
მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 4) და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, მიმდინარე აქტივებისა და ვალდებულებების დადებითი სალდო, მიუხედავად კომპანიის ოპერაციების ზარალისა მენეჯმენტისა და პარტნიორების მოლოდინით კომპანიას საჭიროების შემთხვევაში არ შეეზღუდება ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

შპს HANSA-FLEX Georgien
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ (ზარალი)“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

თარიღი	USD	EUR
31-დეკ-2024	2.8068	2.9306
31-დეკ-2023	2.6894	2.9753
31-დეკ-2022	2.7020	2.8844

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (და გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

მიმდინარე და გრძელვადიანად კლასიფიცირება

აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მიმდინარე და გრძელვადიანი კლასიფიკაციის მიხედვით.

აქტივი კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე, როდესაც: ან მოსალოდნელია მისი რეალიზაცია ან მისი გაყიდვა ან მოხმარება კომპანიის ნორმალურ საოპერაციო ციკლში; კომპანია მას ფლობს ძირითადად გაყიდვის მიზნით; მოსალოდნელია მისი რეალიზაცია საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში; ან აქტივი არის ნაღდი ფული ან ფულადი ექვივალენტი, თუ არ არის შეზღუდული მისი გაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო პერიოდიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი.

ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე, როდესაც: ან მოსალოდნელია მისი დაფარვა კომპანიის ნორმალურ საოპერაციო ციკლში; იგი იმართება ძირითადად ვაჭრობის მიზნით; ის გადახდილი უნდა იყოს საანგარიშო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში; ან არ არსებობს უპირობო უფლება, ვალდებულების დაფარვის გადავადების საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან არანაკლებ 12 თვით. ყველა სხვა ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულება ყოველთვის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

მოგების და სხვა გადასახადები

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე/(ზარალზე), რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მიმდინარე საგადასახადო მოდელის მიხედვით, რომელიც საქართველოში მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან („კორპორატიული დაბეგვრის ესტონური მოდელი“), მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით გაუნაწილებელ მოგებაზე, და 15%-იანი განაკვეთით განაწილებულ მოგებაზე. ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (მოგების, როგორც დივიდენდის განაწილება აქციონერებზე) და ინდივიდუალური ტრანზაქციები, რომლებიც შეიძლება მოგების ირიბად განაწილებად ჩაითვალოს (სარგებელი, საჩუქარი, გადახდები, ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც არ არის განხორციელებული გამლილი ხელის პრინციპით, ხარჯები რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და სხვა).

დივიდენდის გაცემიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როცა დივიდენდი გამოცხადდა, მიუხედავად მათი რეალური გადახდის თარიღის, ან პერიოდისა, რომელშიც მოხდა ამ დივიდენდის გატანა. განაკვეთი წარმოადგენს განაწილებული მოგების 15/85 ნაწილს.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან და არ არის ასახული ამ ფინანსურ ანგარიშგებებში.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიას საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს, გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება კომპანიას მიერ ანგარიშ-ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოსმიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით. როდესაც კომპანიის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების შეფასებული მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	შეფასებული მომსახურების ვადა
შენობები	20 -50 წელი
მანქანა-დანადგარები	5-15 წელი
ოფისის აღჭურვილობა	3-8 წელი
ავეჯი და ინვენტარი	3-8 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

საინვესტიციო ქონება

კომპანია საინვესტიციო ქონებას აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად, თვითღირებულებით, რომელიც მცირდება ცვეთითა და გაუფასურების ზარალით.

საინვესტიციო ქონება არ აღირიცხება შეფასებული ღირებულებით, რადგან კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ ასეთ აღრიცხვასთან დაკავშირებული დანახარჯი მიზანშეუწონელი იყო სააღრიცხვო პერიოდისთვის შემდეგი გარემოებებიდან გამომდინარე:

- საინვესტიციო ქონებიდან მიღებული შემოსავალი არის ძალიან მცირე;
- კომპანიის თანამშრომლებს არ აქვთ სპეციფიკური ცოდნა უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების დასადგენად.

მომავალ სააღრიცხვო პერიოდისთვის, თუ შესაძლებელი იქნება, გონივრული დანახარჯების პირობებში საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების განსაზღვრა, კომპანია გეგმავს საინვესტიციო ქონების აღრიცხვა რეალური ღირებულების მოდელით განხორციელდეს.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს საქმიანობასთან დაკავშირებულ ნედლეულსა და მასალებს და დაუმთავრებელ წარმოებას. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით.

ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში

მეკავშირე საწარმო არის საწარმო, რომელზეც ინვესტორს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა და, ამავე დროს, იგი არ არის არც შვილობილი საწარმო და არც წილი ერთობლივ საქმიანობაში.

მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს ინვესტორის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებამოსილებას, რაც არ გულისხმობს ინვესტორის მიერ ამ პოლიტიკაზე კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას.

ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში აღრიცხულია თვითღირებულების მოდელით.

ინვესტიციის გაუფასურების შემთხვევაში თვითღირებულებიდან გამოკლებული იქნება დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება გრძელვადიანი აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიას მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს.

საქონლის გაყიდვა - საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა - კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

კომპანიის საოპერაციო შემოსავლები

კომპანიის საოპერაციო შემოსავალს შეადგენს რელიზებული მინის ბოლოებით მიღებული შემოსავალი.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

საწესდებო კაპიტალი და დივიდენდები

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდგება „რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების“ ან „საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების“ მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

კომპანია, როგორც მეიჯარე - საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიას ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიას ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

გ) გაუფასურების ზარალი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ის მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანია იმყოფება საკრედიტო რისკის ქვეშ ფინანსური აქტივების გავლენით, ფულის, საბანკო ანგარიშებისა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჩათვლით. საკრედიტო რისკი ბანკში არსებულ საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში იმართება საბანკო დაწესებულებების დივერსიფიკაციის გზით, მხოლოდ მნიშვნელოვანი რეკუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფდა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე რეალიზაციის მიხედვით. ფიზიკურ პირებზე კომპანია რეალიზაციას ახორციელებს მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორებით ან საბანკო განვადებით და არ წარმოექმნება სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები იურიდიულ პირებთან შეფასებული იქნა ინდივიდუალურად, განვლილი დღეების და

სავაჭრო პარტნიორებზე კომპანიის ხელთ არსებული ინფორმაციის შესაბამისად. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დამოკიდებულია გაყიდვების საგადახდო ისტორიაზე ბოლო 12 თვის მანძილზე, ასევე შესაბამისი განცდილი საკრედიტო ზარალზე მოცემულ პერიოდში.

შპს HANSA-FLEX Georgien
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

დ) მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება

კომპანიის მენეჯმენტი აფასებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებებს, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ყველაზე საიმედო მტკიცებულებების გათვალისწინებით. ამ მარაგების მომავალ რეალიზაციაზე შეიძლება გავლენა იქონიოს სამომავლო ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა, ან ბაზრის სხვა ცვლილებებმა, რამაც შეიძლება შეამციროს მომავალი სარეალიზაციო ფასები.

ე) დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები

კომპანია შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. მსს ფასს მოითხოვს გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. კომპანია განიხილავს, არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

4. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მანქანა- დანადგარები	ექსპლოატაციაში შეუსვლეელი მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სხვა საწარმოო ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
01.01.2023	1 002 059	9 182	29 953	9 915	110 350	-		1 161 459
01.01.2023 რეკლასიფიკაციას დაქვემდებარებული ჯგუფიდან გასატანი	(248 709)		(17 927)					(266 636)
01.01.2023 რეკლასიფიკაციას დაქვემდებარებული ჯგუფში შესატანი			13 776			234 933	17 927	266 636
01.01.2023 რეკლასიფიცირებული	753 349	9 182	25 802	9 915	110 350	234 933	17 927	1 161 459
შემოსვლა	68 323	127 209	16 576	2 034	14 835	-	-	228 976
2023 რეკლასიფიკაციას დაქვემდებარებული ჯგუფიდან გასატანი	(15 017)							(15 017)
2023 რეკლასიფიკაციას დაქვემდებარებული ჯგუფში შესატანი							15 017	15 017
კაპიტალიზაცია								-
ექსპლოატაციაში შესვლა		(45 740)						(45 740)
შემცირება ჩამოწერის შედეგად								-
შემცირება რეალიზაციის შედეგად								-
31.12.2023	806 655	90 651	42 378	11 949	125 185	234 933	32 944	1 344 695
შემოსვლა	87 280	148 645	4 395		27 493			267 813
2024 რეკლასიფიკაციას დაქვემდებარებული ჯგუფიდან გასატანი		(7 809)						(7 809)
2024 რეკლასიფიკაციას დაქვემდებარებული ჯგუფში შესატანი							7 809	7 809
კაპიტალიზაცია								-
შემცირება ჩამოწერის შედეგად			(2 366)					(2 366)
შემცირება რეალიზაციის შედეგად								-
31.12.2024	893 935	231 487	44 407	11 949	152 678	234 933	40 752	1 610 142
დაგროვილი ცვეთა								
01.01.2023	(330 730)		(19 930)	(4 166)	(70 641)	-	-	(425 466)
01.01.2023 რეკლასიფიკაციას დაქვემდებარებული ჯგუფიდან გასატანი	81 546		11 136					92 682
01.01.2023 რეკლასიფიკაციას დაქვემდებარებული ჯგუფში შესატანი			(6 263)			(75 283)	(11 136)	(92 682)
01.01.2023 რეკლასიფიცირებული	(249 184)	-	(15 058)	(4 166)	(70 641)	(75 283)	(11 136)	(425 466)
პერიოდის ცვეთა	(81 282)		(6 544)	(1 039)	(14 320)			(103 184)
2023 რეკლასიფიკაციას დაქვემდებარებული ჯგუფიდან გასატანი	25 384		4 837					30 221
2023 რეკლასიფიკაციას დაქვემდებარებული ჯგუფში შესატანი			(1 256)			(24 128)	(4 837)	(30 221)
შემცირება ჩამოწერის შედეგად								-
შემცირება რეალიზაციის შედეგად								-
31.12.2023	(305 081)	-	(18 021)	(5 205)	(84 960)	(99 411)	(15 972)	(528 650)
პერიოდის ცვეთა	(81 340)		(5 061)	(1 149)	(14 337)			(101 888)
2024 რეკლასიფიკაციას დაქვემდებარებული ჯგუფიდან გასატანი	20 386		4 873					25 258
2024 რეკლასიფიკაციას დაქვემდებარებული ჯგუფში შესატანი			(1 146)			(19 239)	(4 873)	(25 258)
რეკლასიფიკაცია/კატეგორიის შეცვლა								-
შემცირება ჩამოწერის შედეგად			1 097					1 097
შემცირება რეალიზაციის შედეგად								-
31.12.2024	(366 036)	-	(18 257)	(6 354)	(99 298)	(118 650)	(20 845)	(629 441)
საბალანსო ღირებულება								
01.01.2023	504 166	9 182	10 744	5 750	39 709	159 651	6 791	735 993
31.12.2023	501 574	90 651	24 357	6 744	40 225	135 522	16 971	816 045
31.12.2024	527 899	231 487	26 149	5 595	53 381	116 283	19 907	980 701

5. არამატერიალური აქტივები

შინაარსი	საბუღალტრო პროგრამის განთავსების დისკი
ისტორიული ღირებულება	
ნაშთი 01.01.2023 წლისთვის	5 875
შეძენა	-
გასვლა	-
ჩამოწერა	
ნაშთი 31.12.2023 წლისთვის	5 875
ნაშთი 01.01.2024 წლისთვის	5 875
შეძენა	-
გასვლა	-
ჩამოწერა	
ნაშთი 31.12.2024 წლისთვის	5 875
ცვეთა	
ნაშთი 01.01.2023 წლისთვის	(5 750)
პერიოდის ცვეთა	(126)
გასვლა	
ჩამოწერა	
ნაშთი 31.12.2023 წლისთვის	(5 875)
ნაშთი 01.01.2024 წლისთვის	(5 875)
პერიოდის ცვეთა	-
გასვლა	
ჩამოწერა	
ნაშთი 31.12.2024 წლისთვის	(5 875)
ნეტო საბალანსო ღირებულება 01.01.2023 წლისთვის	126
ნეტო საბალანსო ღირებულება 31.12.2023 წლისთვის	-
ნეტო საბალანსო ღირებულება 31.12.2024 წლისთვის	-

6. ფული და ფულის ექვივალენტები

	31-12-24	31-12-23	01-01-23
ნაღდი ფული საღაროში	13,878	11,545	4,642
ფულის ექვივალენტი ბანკის ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტა ლარში	558,549	401,574	167,367
ფულის ექვივალენტი ბანკის ანგარიშებზე უცხოურ ვალუტა დოლარში	26,853	25,729	25,850
ფულის ექვივალენტი ბანკის ანგარიშებზე უცხოურ ვალუტა ევროში	19,075	138,243	2,958
	618,355	577,090	200,817

7. სავაჭრო მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
დებიტორული დავალიანება	269 743	116 374	163 612
მომწოდებლებისათვის გადახდილი ავანსები	38 178	10 713	11 494
	307 921	127 087	175 106

მენეჯმენტის შეფასებით არცერთი სავაჭრო მოთხოვნა გაუფასურებული არ არის.

8. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
გასაყიდი სასაქონლო მატერიალური მარაგი	1 101 387	945 196	933 382
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი- საწვავი	2 453	2 267	1 930
	1 103 840	947 463	935 312

9. საგადასახადო ვალდებულება/აქტივი

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
საგადასახადო აქტივი	9 652	13 498	8 095
	9 652	13 498	8 095
საგადასახადო ვალდებულება			
	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
საგადასახადო ვალდებულება	14 775	7 692	17 810
	14 775	7 692	17 810

10. გრძელვადიანი სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

დედა კომპანია აწვდის საქონელს რომლის ღირებულებასაც კომპანია იხდის ეტაპობრივად, თუმცა მუდმივად აქვს დედა კომპანიის სავაჭრო ვალდებულება, რაზედაც დედა კომპანია არიცხავს პირგასამტეხლოს 0.5%-ს. გადახდის ვადის შესაბამისად ვალდებულებები გამიჯნულია მოკლევადიანად და გრძელვადიანად. 01.01.2023 თვის დედა კომპანიის მიმართ სავაჭრო ვალდებულება შეადგენდა 3,247,527 ლარს, აქედამ მიმდინარე დავალიანება იყო 708,482 ლარი. 31.12.2023 თვის მთლიანი სავაჭრო ვალდებულება შეადგენდა 4,080,680 ლარს, აქედან მიმდინარე სავაჭრო დავალიანება შეადგენდა 1,008,055 ლარს. 31.12.2024 თვის დედა კომპანიის მიმართ სავაჭრო ვალდებულება შეადგენდა 5,012,283 ლარს. მენეჯმენტის მოლოდინით მიმდინარე დავალიანებაში გადატანილია 1,465,300 ლარი. ყველა სხვა სავაჭრო ვალდებულება არის მიმდინარე.

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
გრძელვადიანი სავაჭრო ვალდებულება	3 546 983	3 072 626	2 539 046
	3 546 983	3 072 626	2 539 046

11. მიმდინარე სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
მყიდველებიდან მიღებული ავანსები	20 411.05	8 663.21	3 703
სავაჭრო ვალდებულებები	1 493 646	1 027 146	718 281
	1 514 057	1 035 809	721 984

12. შემოსავალი

	2024	2023
შემოსავალი გაყიდული საქონლიდან	1,794,349	1,621,423
	1,794,349	1,621,423

13. თვითღირებულების ხარჯი

	2024	2023
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	735,277	633,725
საწარმოო ცვეთა	75,292	70,217
მანქანა-დანადგარების მიმდინარე შენახვის ხარჯი	1,618	210
მწარმოებლის გაფართოვებული ვალდებულების ხარჯი	1,083	
	813,271	704,152

14. კომერციული დანახარჯები

	2024	2023
თამანშრომელთა ეკიპირება	12 848	
რეკლამის და მარკეტინგის ხარჯი	971	1 049
	13 820	1 049

15. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი

	2024	2023
თანამშრომელთა ხელფასები	787 168	691 389
თანამშრომელთა მივლინების ხარჯები	12 366	
საიჯარო ქირა	193 570	152 038
საწვავის ხარჯი	16 660	19 231
დაზღვევის ხარჯი	9 455	9 095
ავტომანქანების საექსპლუატაციო ხარჯი	4 087	5 500
კომუნალური/კომუნიკაცია	25 060	25 176
ბანკის საკომისიო	6 278	4 931

კონვერტაციის ხარჯი	2 343	3 850
პროფესიული საწევრო გადასახადი	2 915	2 603
დაცვის ხარჯი	7 159	6 522
ცვეთა და ამორტიზაცია	26 596	32 967
ქონების გადასახადი	8 961	7 692
საკანცელარიო/სამეურნეო ხარჯი	6 536	7 481
საღარიბ აპარატის მომსახურების ხარჯი	848	819
თანამშრომელთა გადამზადების ხარჯი	653	1 085
კომპიუტერის მომსახურების ხარჯი		126
საჯარო რეესტრის, ნოტარიუსის, თარჯიმანის მომსახურების ხარჯი	1 945	280
სხვა ხარჯი	144	562
მიმდინარე სარემონტო ხარჯი	297	763
საბუღალტრო პროგრამის მომსახურების ხარჯი	4 161	3 250
წარმომადგენლობის ხარჯი	4 103	4 915
	1 121 305	980 274

16. ფინანსური ხარჯი	2024	2023
სავაჭრო ვალდებულებასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯი-პირგასამტეხლო	(335 183)	(221 024)
	(335 183)	(221 024)

17. წმინდა მოგება-ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	2024	2023
საკურსო მოგება	70 848	7 095
საკურსო ზარალი	(978)	(131 092)
	69 870	(123 997)

18. არასაოპერაციო შემოსავალი ხარჯი	2 024	2 023
უსასყიდლოდ მიღებული პროდუქცია	350	1 047
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	50	
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(176)	(3 523)
	224	(2 477)

19. გაუფასურების ხარჯი-ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	2 024	2 023
ისტორიული ღირებულება	(2 366)	
დაგროვილი ცვეთა	1 097	
გაუფასურების ზარალი	(1 269)	-

20. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით არის, როდესაც:

ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;

ბ) მხარე არის საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;

გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პირების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ და არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე.

სხვა დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს ისეთი საწარმოები რომლებიც კონტროლდება ან რომლებზეც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ანგარიშვალდებულ საწარმოზე კონტროლის მქონე პირებს.

ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 2023			
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	დამფუძნებელი	სხვა დაკავშ. მხარე	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები			-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,099,772		4,099,772
სრული შემოსავლების ანგარიშგება			-
რელიზაციიდან მიღებული ამონაგები			-
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	170,250	77,500	247,750
ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 2024			
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები			-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,040,630		5,040,630
სრული შემოსავლების ანგარიშგება			-
რელიზაციიდან მიღებული ამონაგები			-
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	161,484	119,000	280,484

21. სასამართლო დავები

მოგახსენებთ შპს HANSA-FLEX Georgien დირექტორი ანა მაისურაძე , რომ კონპანიას არ აქვს და არ ჰქონია რაიმე ტიპის სასამართლო დავა 2023 წლიდან დღემდე საანგარიშო პერიოდზე. ასევე მოგახსენებთ რომ, არ არსებობს რაიმე ტიპის მოსალოდნელი პირობით ვალდებულების წარმოშობის საფუძველი.

22. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები
არ ჰქონია ისეთ ფაქტს ან მოვლენას ადგილი, რომლის გამჟღავნებაც საჭირო იქნებოდა ახსნა განმარტებით შენიშვნებში.

დირექტორი ანა მაისურაძე